572
979

ISSN 0132-5905

ფილკა

1979
N10
ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაშა, მშრომელურ კონსტიტუციას!

კ. გოგიაშვილი

ქარვისფერია მიდამო ჩვენი
შემოდგომისას— მთის თუ მდელოსი,
გვახარებს ზვრები,
ახალი გზები,
ბარაქა—მზიურ საქართველოსი.
მრავალერიან სამშობლოს ერთგულს
უყვარს გამტანი ყველგან ველოსი,
კონსტიტუციამ შეგვიქმნა იგი
ლომიერ-მზიურ საქართველოსი.
დიდმა ლენინმა გაჰკრა ნაპერწკალს,
მისი მადლია მწვანე ლერწიც.
დიდი, პატარა ზეიმობს ახლა,
ამ კოხტა, ზურმუხტ საქართველოში.
შენება ახლის,
ბიჭებს რა დაღლის,
ვართ მოწმე საქმის—სასახელოსი,
სწავლა ახარებს ახალგაზრდობას
შრომისმოყვარე საქართველოში.
ზეიმობს ხალხი,
მოხუცი, ბალღი,
სიხარულია მთებში, მდელოში,
ვაშა, მშობლიურ კონსტიტუციას,
მის ღვესასწაულს საქართველოში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახე

ალექსანდრე დიდებაშვილი

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

გია ჯერ სკოლაში არ დადის და ამიტომ ხან ბებიასთან რჩება ზღაპრების მოსასმენად, ხან – მამას მიჰყვება სამუშაოზე მისახმარებლად. მამამისი გიორგი ამბობს: მეხმარებაო, თორემ შეიძლება არც დაგვეჯერებინა, აბა, ხუთი წლის ბიჭმა რა უნდა გაუკეთოს განთქმულ მევენახეს, მაგრამ, თურმე მართლა ეხმარება.

ზამთრის პირზე, როცა თოვლის მოლოდინში ბელურები გაფაციცებით დაეძებენ საკენკს, გიორგი ბარს აიღებს, მოყანყალებულ ტარს გაუმაგრებს და იტყვის:

— ახლა ბარვის დროა.

— მამიკო, მეც წამიყვანე, მოგეხმარები.

გიორგი გაიღიმებს:

— წამობრძანდი, ბატონო და, მომეხმარე.

გიორგი ბარს მხარზე გაიდებს და გიასთან ერთად ვენახისკენ ბილიკს გაუყვება.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

გიორგი თითოეულ ვაზს ძირში უბარავს, უფხვიერებს მიწას. გია ყურადღებით ადევნებს თვალს მამის მუშაობას.

— მამიკო, რატომ უბარავ?

— იმიტომ, რომ გაფხვიერებული მიწა ბევრ წყალს შეისრუტავს და მერე ვაზის ფესვებს დაალევინებს, ვაზი გაღონივრდება, ბევრ მტევანს მოისხამს.

— როგორ შეისრუტავს?

— როგორ გაღონივრდება ვაზი?

— რამდენ მტევანს მოისხამს?

ბოლოს მზე შორეული მთის ფხაზე წითელი ბურთივით დაეცემა და ჩაკურდება.

— ახლა კი მოვრჩეთ! — იტყვის გიორგი და ბარს დაბერტყავს.

— მოვრჩეთ, — იტყვის გიაც.

ეზოში რომ შევლენ, გია უფრო ამაყად მიაბიჯებს, ერთი—ბებიამ, დედამ და დაიკომ დამინახონ, რა მშრომელი ვარო.

აივანზე ტახტი დგას, მამა ზედ ჩამოჯდება.

— უჰ, დავიღალე, ეს ბიჭი რომ არ მეხმარებოდეს, ამდენს ვერ ვიმუშავებდი! — იღიმება დაღლილი მევენახე.

გია ალმაცერად გადახედავს დაიკოს.

როცა თებერვალი დგება, მზე უფრო თბილად გაუღიმებს დედამიწას. ყოჩივარდები ნათოვლარი მიწიდან წითლად ამოანათებენ და ქვეყანას ახარებენ:—გაზაფხული მოდისო. სოფელში ამ დროს უსაქმოდ ვინ გაჩერდება, ყველა ვენახებსა და ბოსტნებს მიაშურებს.

გიორგი ვაზის სასხლავ მაკრატელს ფხას აულესავს.

მერე ჩექმებს ჩაიცვამს.

გია ეხვეწება მამას:

— მეც წამიყვანე რა, მოგეხმარები.

— მაშინ, შენც ჩაიცვი ჩექმები.

გია სასწრაფოდ მოძებნის თავის ჩექმებს, ქუსლებით იატაკზე დააბრახუნებს, გამომხედეთ, რა სწრაფად ჩავიცვიო.

— აბა, წავიდეთ, — იტყვის მამა და ბილიკს გაუყვება.

გიაც უკან გაედევნება.

ისევ დაიწყება შეკითხვები:

— რატომ აკრავ მავთულზე, მამიკო?

— ტოტებმა დაბლა რომ არ ჩამოიწიონ.

— რატომ ჩამოიწევენ?

— მაშ, მტევნები რომ დაამძიმებენ, არ ჩამოიწევენ?

— ჰო, ჩამოიწევენ...

— აი, აკრული რომ იქნება, მტევნები უფრო კარგად ჩამოეკიდებიან.

გიას უხარია, რომ ვაზს მტევნები ჩამოეკიდებიან.

ზაფხულში გიორგი შაბიამნის ცისფერ ხსნარს შეაზავებს, ზურგზე მოსაკიდებელ აპარატში ჩაასხამს, ვაზების მწკრივებს გაუყვება და ვაზის ფოთლებს შეასხურებს.

— რატომ აწუწებ, მამიკო?

— ავად რომ არ გახდეს ვაზი.

— ავად როგორ გახდება?

— როგორც ადამიანები ხდებიან ავად, ისე ვაზმაც იცის ავადმყოფობა. ფოთლები დაუჭკნება, მტევნები აღარ გაუზრდება.

— ჰოო, მაშინ ყველგან შეასხურე.

შემოდგომაზე ოქროსფერი მტევნები ჰკიდია ვაზს.

გიორგი გოდრებს მოამზადებს:

— დღეს რთველი უნდა დავიწყოთ, სტუმრებიც გვეწვევიან.

— დავიწყოთ, მამა, მოგეხმარები.

რთველში ბევრი მკრეფავი მოვიდა: გიორგის მეგობრები, ქალაქელი სტუმრები.

ვენახი ახმაურდა, ავსებენ მოკრეფილი ყურძნით კალათებს და შემდეგ დიდ გოდრებში ცლიან. გიორგიმ ერთი დიდი მტევანი გიას მიაწოდა, ბიჭს მაყვლისფერი თვალები გაუბრწყინდა.

— ჰამე, ჰამე, შრომის შემდეგ ყურძენი უფრო გემრიელია! — შესძახეს აქეთ-იქიდან. გიამ გაიღიმა, მერე ყურძენს მარცვალ-მარცვალ შეექცა.

— უჰ, რა ტკბილი ყურძენია, როცა გავიზრდები, მეც მევენახე ვიქნები, — ფიქრობს გია და ხალისიანად უცქერის ვენახშესვლულ მხიარულ მკრეფავებს.

ასე ეზრდება ქვეყანას ერთი კარგი მევენახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზესთან ერთად

გივი ჟიჟინაძე

როდი გვიყვარს ბევრი ძილი,
მზესთან ერთად ვდგებით დილით.
— ვინ გისწორებთ ლოგინს ნეტავ?
ალბათ დედა...
— უჰ, რას ბრძანებთ,
ჩვენ ვისწორებთ მზესთან ერთად.
მერე, ვიდრე აივანზე
გვესტუმრება ჩრდილი ხეთა,
ერთი! ორი! ვითვლით ასე,
თან ვვარჯიშობთ მზესთან ერთად.
მზესთან ერთად ვიბანთ ხელ-პირს,
ვისაუზმებთ, გავშლით წიგნებს.
წიკ-წიკ! წინ! წინ! ტკბილი ხმებით
თავს საათი დაგვწიკწიკებს.
— რა ყოჩაღი ბავშვები ხართ!—
მზეც ხალისით გვიკრავს თვალსო.
— დღის წესრიგის დაცვა გიყვართ,
იცით, დრო რომ ოქრად ფასობს!—
გადავიგდებთ მხარზე ჩანთას
და ფრთებს გავშლით, როგორც ქარი.
ჰერი, ბიჭო! მზესთან ერთად
სკოლისაკენ მივიჩქარით.

ნახატი **ნანა სულემენაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი ბურთი

ელგუჯა მერაბიშვილი

კალა და ნაგალა ჭიანჭველების ქალაქში ცხორობდნენ. მათ ქუჩას დღისით და ღამით ხვართქლის ყვავილების თეთრი ზანზალაკები დანათოდნენ. კალა და ნაგალა პატარა ჭიანჭველები იყვნენ და ცხადია სკოლაში დადიოდნენ. იქ ისინი ქუჩაში მოძრაობის წესებს, ნადავლის მოსატანად გზის გაგნებისა და უკან ტვირთით დაბრუნების ხელოვნებას სწავლობდნენ.

კალა და ნაგალა ზარმაცები იყვნენ. ჭირის დღესავით ეზარებოდათ სკოლაში წასვლა და იქ გაკვეთილებზე ჯდომა. მასწავლებელს ყურს არ უგდებდნენ და ერთთავად გარეთ ეჭირათ თვალი. ერთხელაც გულმა ვეღარ მოუთმინათ და სკოლიდან გაიპარნენ. სამუშაო დღე იყო და ქუჩაში ჭიანჭველებს ფეხს ვერ აუცევდი, ზოგი საშოვარზე მიდიოდა, ზოგი ნადავლს მოათრევდა, მათ მოძრაობას მილიციელი ჭიანჭველა წესრიგებდა. კალამ და ნაგალამ ერთ ბუმბერაზ ჭიანჭველას მოჰკრეს თვალი, იგი გრძელ ჩალას მიათრევდა, ალბათ ჭუპრების დასათბუნებლად თუ სჭირდებოდა. ცელქები უკანიდან წამოეპარნენ და ჩალაზე შემოსხდნენ. მილიციელმა შენიშნა, დატუქსა წესრიგის დამრღვევნი, ალბათ დაიჭერდა კიდეც, მაგრამ კალამ და ნაგალამ გაქცევით უშველეს თავს. ქალაქის განაპირას შედგნენ და მიიხედ-მოიხედეს. გზა ქალაქიდან გადიოდა და სადღაც მაღალ ბალახებში იკარგებოდა. გამვლელ ჭიანჭველას ჰკითხეს, ეს შარა საით წაგიყვანსო და მანაც შიუგო, საზაფხულო იალაღებისკენაო. კალას და ნაგალას ძალიან მოუნდათ ჰაერზე გასეირნება და გზას გაუდგნენ. ჭიანჭველების ნაკვალევი ატმის ხის ძირზე აღმა მიიკლაკნებოდა. ფისის ბორცვებს გვერდი აუარეს და იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც ღერო იტოტებოდა. შედგნენ, ძირს გადმოიხედეს და შიშისაგან თვალები აუკრელდათ. დაბლა ძლივს მოჩანდა ხვართქლის ზანზალაკებით თეთრად გაჩახჩახებული ჭიანჭველების ქალაქი.

— დედაა!.. შიშისაგან თუ შიმშილისაგან მუხლი მეკვეთება,— დაიკვნესა კალამ.

— რა გვეშველება, როგორ უნდა დავბრუნდეთ ქალაქში?—ატირდა ნაგალაც.

ტვირთაკიდებული ჭიანჭველა წამოადგათ თავს, ქალაქისაკენ მიდიოდა, მათ ლაპარაკს ყური მოჰკრა და შეებრალა პატარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგერ, ჩრდილო ტოტზე გადით, ფოთლებზე მოუწველავი ბუგრების ფარა ბალახობს. მიდით და მოწოვეთ,—დაარიგა და გზა გაანაგრძო.

კალამ და ნაგალამ კარგად იცოდნენ ბუგრის ტკბილი რძის გემო და მისი ჩიჩიაც ჰქონდათ ნაუამი. ამიტომ მაშინვე ნაჩვენები ტოტისაკენ გაიქცნენ, ბუგრების ფარას ოდვილად მიაგნეს და გაშმაგებულებმა დაუწყეს წოვა, მერე გამაძღრებმა ნოტიო ფოთლებზე შეიწმინდეს ცხვირპირი და მზით გამთბარ ორკაპზე წამოგორდნენ. რაკი სხვა საქმე არ ჰქონდათ, დაბლა დაიწყეს ცქერა. ქვემოთ, ორ ტოტს შუა ბაბაეუასაგან გულმოდგინედ ნაქსოვი აბლაბუდა მოჩანდა. თვითონ ბაბაეუა კუთხეში იჯდა და მსხვერპლს ელოდა, თავი კაუკა ფეხებში ჰქონდა ჩამალული, მუცელი კი ხაოიანი თეთრი ბურთივით მოუჩანდა.

— თავი რომ არ ეგას, კარგი თეთრი ბურთი იქნებოდა,—თქვა კალამ.

ნაგალას ჭკუაში დაუჯდა მეგობრის ნათქვამი. ფულურასთან მივიდა და მერქნის ნატეხებს დაბლა დაუწყო სროლა, იქნებ როგორმე ბაბაეუას თავში მოვახვედროო. მაღლიდან დაცემულმა ნატეხებმა აბლაბუდა შეაზანზარა და ობობას თავშესაფარი მოაძებნინა. წმინდად ნაქსოვი ბადე ალაგ-ალაგ გაიხა კიდეც.

ტოტიდან გზად მომავალმა წითელქერეეიანმა ჭიამაიამ ზრდილობიანად უსაუვედურა თავხედ ჭიანჭველებს:

— მშრომელს, მავნე მწერებთან მებრძოლ ბაბაეუას, სწორედ რომ არ ეკადრება თქვენგან ასეთი აბუჩად აგდება. უნდა გრცხვენოდეთ.

კალას და ნაგალას სრულებითაც არ შერცხვენიათ, პირიქით, შენ ვილას დაჰკარგვიხარო. უყვირეს, ეცნენ და ისიც ძირს ჩააგდეს.

— ახლა ვნახავთ, როგორ დაგინდობს ეგ მავნე მწერებთან მებრძოლი მუცელბურთა,—ხითხითებდა კალა და ნაგალაც კვერს უკრავდა.

ობობა დაზიანებულ ქსელს აბამდა და უცბად აბლაბუდაზე ჭიამაია დაეცა. ფრთების აშლა ვერ მოესწრო და კისრით დაცემულიყო. ბაბაეუა მაშინვე მასთან მივიდა, ბადის ხლართებიდან გამოხსნა და ტოტამდე გაიყვანა.

ბაბაეუას კეთილმა საქციელმა უარესად გააშმაგა თავხედი ჭიანჭველები. ფისის ბორცვის მოთხრა დაიპირეს და ძირს გადაგდება.

ანაზდად ზემოდან ხმაური მოესმათ, ვილაცა



ნახატები ვაჟა გელაშვილისა

ახველებდა და ზიზღით აფურთხებდა. კალამ და ნაგალამ იქით და გაიხედეს და ხორთუმიანი შავი ჭია დაინახეს, მერქნიჭამია იყო.

— ხვრელში ვეღარ ჩავსულვარ, რომ ვისადილო. ფისი მოეფონავს ქერქიდან, მე კი მეზიზღება ფისი,—მოსთქვამდა და თან ყიმყრალად იგინებოდა.

— გინდა, ხვრელს ჩვენ ამოვწმენდთ, შენ კი ობობას ჯავრი ამოგვყარე,—უთხრა კალამ.

— ის თეთრი ბურთი ააგლეჯე და ჩვენ მოგვიტანე, — დაუმატა ნაგალამ.

მერქნიჭამიამ ავად აასავსავა ხორთუმი, მაგრამ წამით შეეყუმანდა.

— ობობას რომ ვერ დავეცე თავზე და ბადეში გავება?—იკითხა.

— მაგ ჯავშანს ბაბაჭუა რას დააკლებს,—ჭიანჭველებმა შავ სქელ ქერეზე დაუტეაპუნეს თათები და შეაქეზეს,—სანამ ამოხვალ და ბურთს ამოგვიტან, ხვრელი ამოწმენდილი იქნება.

მერქნიჭამიამ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ტოტიდან ისკუპა. ბაბაჭუამ შენიშნა იგი, განზე გახტა, შავმა ჭიამ კი ბადეზე მოადინა ზღართანი, წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო, აბლაბუდას წვრილ ქსელში ჰქონდა გახერილი ქერეჭი და ფეხები. ბაბაჭუამ ძლიერ მტერთან ახლოს მისვლა ვერ გაბედა, ცალი მხრიდან ქსელის წვერები ახსნა, მერქნიჭამიამ გაიბრძოლა თუ არა, მაშინვე მეორე მხარეზე გადაგორდა და როგორც საბანში, ისე გაეხვია თეთრ ქსელში, ახლა კი მივიდა ობობა და თოკებით მაგრად შეკრა მსხვერპლი.

— რად გინდა, ხომ არ იშმება?—ჰკითხა ჭიამაიამ.

— სამაგიეროდ დიდი ავაზაკი ვინმეა, ხეებს ახმობს, შიმშილით უნდა ამოვხადო სული,—უპასუხა ბაბაჭუამ.

კალა და ნაგალა მაღლიდან დაჰყურებდნენ ტყვედ ჩავარდნილ შავ ჭიას და გული წყდებოდათ, რომ თეთრი ბურთი ვერ მოიხელთეს. თანაც უკვე ღამდებოდა და ქალაქში დააპირეს წასვლა, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადადგეს, თურმე მერქნიჭამიას გაკეთებულ ხვრელიდან მონადენ სქელ ფისში ჩაფლულიყვნენ და ყვირილი ატეხეს, გვიშველეთო. ქალაქისაკენ მიმავალმა ჭიანჭველებმა ვერ გაბედეს ფისის ნაკადში შეტოკვა. კალა და ნაგალა დაღუპებულებად ჩათვალეს და ქალაქში ცუდი ამბავი წაიღეს.

ანაზდად ფისში ჩაფლული ონავრების ახლოს თეთრი ბურთი გამოკრთა. ჭიანჭველებმა—ბაბაჭუა იცნეს და შიშისაგან ხმა გაკმინდეს, ეგონათ, თავის შხამიან მარწუხებს მოგვიწვდენს და ადგილზევე ამოგვხოცავსო.

ბაბაჭუა სულ ახლოს მივიდა, თეთრი თოკი ქამანდივით ტყორცნა, ჭიანჭველებს ზედ შემოავლო და ნაპირისკენ ღონივრად გასწია... ნაპირზე გამოთრეული კალა და ნაგალა, გათოკილები უძრავად წოლილნენ და ფისისაგან იწრიტებოდნენ, კალა ტიროდა.

— მშვიდობით, საყვარელო ქალაქო, უკანასკნელ სალამს გითვლით ტყვეობიდან,—ნაღვლიანად ფიქრობდა ნაგალა.

ბაბაჭუამ ორივეს ფრთხილად მოხვია თათები, თოკის ბოლო ტოტზე დამაგრა და ნელა დაეშვა ჭიანჭველებთან ერთად უკვე მძინარე ქალაქის თავზე. კალა და ნაგალა თვალებს აღარ უჯერებდნენ, როცა ისინი თავიანთი საცხოვრებელი ბინის შესასვლელთან აღმოჩნდნენ. ბაბაჭუამ მათ ქამანდივით მოხვეული ქსელი შეხსნა და კვლავ თავის თეთრ თოკს გაუყვა მაღლა.

კალა და ნაგალა ხედავდნენ, როგორ თანდათან იწევდა მაღლა და ჰატარავდებოდა ხაოიანი თეთრი ბურთი, მაგრამ მისი ხელში ჩაგდების სურვილი აღარცერთს აღარ ჰქონდა, ორივე მოხიბლა ბაბაჭუას სიკეთემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკოობა

ნოდარ შამანაძე

პაპამ სოკო მოისურვა,
გამიხსნისო სოკო მადას;
ხელკალათი ავიღე და
გავეშურე ტყისკენ მარდად.
ტყის პირას რომ მივაღწიე,
ბილიკს გავყე ოკრობოკროს,
ბუჩქნარებში შევიჭყიტე,
უამრავი იყო სოკო:
ქამა-სოკო, ვარყა-სოკო,
ნიყვი-სოკო, მჭადა-სოკო...
ბევრი სოკო მოვაგროვე,
შინ დავბრუნდი კალათსავსე,
პაპას ძლიერ გაუხარდა,
გადამისვა ხელი თავზე.

ტყის ნობათი

მზია ჩხეტიანი

წითლად ღუის ასკილი,
დგას და თითქოს გაჰკივის:
— ჩქარა, ჩქარა, გიცდით,
თორემ გადავმწიფდი!
წაბლია თუ რგოა—
გვიხმობს ტყიდან—დროა,
ხილის კრეფის დროა,
შინ შენახვის დროა!
შაბათი რომ მოვა,
კვირა დღე რომ მოვა,
ჩვენც ვიჩქარით ტყისკენ
და დროს როდი ვკარგავთ,
ვკრეფთ ასკილს თუ პანტას.
ჰეი, აბლი-ბაბლი,
მაყალო და წაბლიც
სულ გოდრებით დავდგით!

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღერინა გოჭები

ლია ასათიანი



ღრუტუნამ თქვა:—ბაღერინა
ვერ გავხდები აწიო.
იქნებ ჩემი მაგივრობა
ამ გოჭებმა გასწიონ?!
და დაიწყო ოთხი გოჭის
ჩაცმა, მორთვა დიდიდან.
შუადღისას დედა ღორი
ოპერაში მივიდა.
აქ კი ასე მოახსენეს:
— თქვენს პაწია ღრუტუნებს
ტაღანტს, უნარს, დაკვიჯერე,
აქ არავინ უწუნებს,
მაგრამ მათებრ ნიჭიერნი
ცირკს სჭირდება ძაღიან,
ვინ იქნება, სულერთია,
ლომია თუ ძაღლია,

სპილოები, სელაპები,
დათვები თუ ვეფხვები,
ოღონდ ჰქონდეთ კარგი სმენა
და მოქნილი ფეხები.
ასწავლიან თოკზე გასვლას,
საღტოებს და ტრიაღებს,
ერთად კუნტრუშს, როცა მწვრთნელი
ნიშანს ააფრიაღებს...
ცირკისაკენ მირბის ღორი—
მოკლე კუდის ქიცინით,
მისდევს ოთხი თეთრი გოჭი
ღრუტუნით და სიცილით.
ღორი ოფლში იწურება,
იფრიაღებს მარაოს,
გოჭები კი ღრუტუნებენ:
— ჩქარა, დედი, ჩქარაო!—
ცირკში დახვდათ ყველა ჯიშის
ცხოველების კრებული
და იმათი ხელოვნებით
დარჩნენ გაკვირვებული:
დინჯი პონი თავისქნევით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუსტად თვლიდა ასამდე
და შაღრევნებს კლოუნები
ყურებიდან ასხამდნენ.
გამოვიდა ორკესტრი და,
რა ორკესტრი მერე!
ბზუუ! როგორც ვიოლინო
ხმა აეწყოთ მწერებს.
გაჰიმული მი-ი-ა-უ
შეუერთდა ყვირილს—
მეგარმონე შიმპანზეს და
მესაყვირე ვირის.
მამლიყინწამ დეზი დეზზე
შემოიკრა ხელად
და ლეკურით დაედევნა
ნაცარას და პრელას.
იქვე, ციყვი ასწავლიდა
მაიმუნებს ხატვას
და წრუწუნა ცხვირის წვერით
ატარებდა კატას.
გოჭუნები თვალს ვერ სწყვეტდნენ
გასაოცარ ნომრებს.
აგერ, ცეცხლის რკალში რბოლა

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

გაუმართავთ ლომებს.
და როდესაც ჰკითხეს გოჭებს:
— თქვენ რა ნომერს ირჩევთ?
მოიბუზნენ ლრუტუნები,
დაემსგავსნენ გირჩებს.
ძღივს თქვეს მორცხვად:—როცა ცეცხლში
ლომს მიჰყვება ლომი,
იმათ ზურგზე შესკუპებას
შევიძლებდით მგონი—
ბაღერინას თეთრი კაბით
და კბილებში ვარდით,
ნუ მიგვიღებთ, არას ვიტყვით,
თუკი ჩამოვვარდით.
გამოსცადეს ერთხელ, ორჯერ...
ჩაირიცხა ყველა.
მთელს ქალაქში აფიშები
გამოაკრეს ხელად.
და მოგმართავთ ყველას, ყველას—
უფროსებს და ნორჩებს:
— მობრძანდით და ცირკში ნახავთ
ბაღერინა გოჭებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარიანას ზღაპარი

მზია ხეთაგური

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ქარი მუდამაც მხიარულ ხასიათზე იყო. ერთ დღეს კი—გალაღებულმა განსაკუთრებით მოუმატა ქროლვას. ფრთაშესხმული მიჰქროდა და მიიმღეროდა:—რადგან ამ ქვეყნად ყველაზე თავისუფალი და დაუდგრომელი ვარ, ხეებს, ფოკზე გადაფენილ კაბებს ავაცეკვებ, ხალხს თეთრგულა მეოცხლებსა და გაზაფხულს დაეუბრუნებ.

გაიგონეს მთებმა სიმღერა და მიხვდნენ, რომ ქარი მართალი იყო. უცებ ძალიან შეშურდათ მისი, აღშფოთებულები აღიმართნენ და შეაჩერეს მომღერალი. ქარი ადგილიდან ვეღარ დაიძრა და მთებს შეეეკითხა:

— გამიშვით, სული მეხუთება, მე თავისუფალი უნდა ვიყო, ტყვეობაში ვერ გავძლებ.

მთებმა ყურიც არ შეიბერტყეს; იდგნენ ამაყად, გულცივები და ზვიადები:

— ჩვენ მაღლები და ძლიერები ვართ. ამიტომ წესრიგი უნდა დავამყაროთ, შენ კი უთაებოლოდ დაჰქრიო.

იმ დღის შემდეგ გაქრა ქარი. აღარ ფრიალებდნენ დროშები და კაბები, აღარ ირხეოდნენ თუთის ხეები, ვეღარ კეკლუცობდნენ ალვები,—იდგნენ წელგაშეშებულები და გა-

ყინულები. ცაზე პირქუში ღრუბლები ჩამოწვნენ და ოდნავადაც ალარ იძვროდნენ, რადგან ქარი ვეღარ მიერეკებოდა თავისი სახრით.

ერთი ქალაქის გარეუბანში ყვავილების ლამაზი ბაღი იყო. ქარის ალერსს მოკლებული ყვავილები ოხრავდნენ და კვნესოდნენ. ერთ დილას, ამ ბაღში, მოულოდნელად, გოლიათმა ხემ ამოჰყო თავი. ხე ქარის მოტანილ მარცვლისაგან ამოვიდა: ქარს მარცვალი შორეული ქვეყნისაკენ მიჰქონდა, მაგრამ მთებმა რომ ქარი დაატყვევეს, ფრთებგამოცლილი მარცვალი ამ ბაღში ჩამოვარდა. შეშინებულმა ყვავილებმა ერთი აურზაური ატეხეს:—ეს რამხელა ხეა, ყველა დაგვჩრდილავო, — მაგრამ რაღას იზამდნენ. უნდოდათ, არ უნდოდათ, ბედს დამორჩილდნენ.

იმნაირად ერთი ბიჭი იზრდებოდა. ბიჭი ქარიან ღამეს დაიბადა და ამიტომაც ქარიანა დაარქვეს. გაიზარდა ქარიანა. გაიზარდა და გადაწყვიტა,—სწორედ მე უნდა ვიპოვო ქარიო. ადგა და წავიდა საძებრად, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს, ამ ბაღსაც მოადგა. გოლიათი ხე რომ დაინახა, ძლიერ გაიხარა,—ავალ ხეზე და ქვეყანას ზემოდან გადავხედავო. ავიდა ბიჭი ხეზე, შუამდეც არ იყო მისული, დაიღალა. ჩამოჯდა ტოტზე და დაისვენა. დაბლა რომ ჩამოიხედა, ყვავილები ვეღარ იცნო,—ყველას შიშისაგან ფერი წასულოდა, ყაყაჩო რომ ყაყაჩოა, იმასაც ლოყები გაყვითლებოდა.

— ნუ გეშინიათ, ყვავილებო, არ ჩამოვარდები, ავალ და კენწეროდან გავიხედ-გამოვიხედავ, იქნებ სადმე ქარს მოვკრა თვალი!

დაისვენა ქარიანამ და ისევ აცოცდა, კიდევ დაისვენა და ჩამოიხედა: სიმაღლიდან ყვავილები ვარსკვლავებს ჰგავდნენ, ღედამიწა კი ვარსკვლავებით მოკედილ ცას. ამასობაში დაღამდა კიდეც. ყვავილების ფერადი ციმციმი გზას უნათებდა ქარიანას. მიცოცავდა ბიჭი და მღეროდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოექცა ხის კენწეროზე. შეხედა ცას და, ვარსკვლავებს, ლამის, მართლა ხელით მისწვდა.

— ეჰეჰეი, მთებო!—დაიძახა ქარიანამ.

— ეჰეჰეი, მთებო!—უპასუხა ექომ.

— სად არის ქარი?!

— სად არის ქარი?!—დაუბრუნა კითხვა ექომ.

— მთებიც მე მეკითხებიან, სად არისო,—გაიფიქრა ქარიანამ და დაღონდა. ძახილი ქარმაც გაიგონა, დაბმული ფრთებით გაიფართხალა და დაიძახა:

— აქა ვარ, აქ!

ქარიანამ გაიგონა ქარის ხმა, ხომ არ მომეჩვენაო და ისევ გასძახა:

— ეჰეი, ქარო!

— აქა ვარ, მიშველე!—გამოეპასუხა ქარი.

— სადა ხარ, სად!—კისერი წაიგრძელა ქარიანამ და სიხარულისაგან ყაყაჩოსავით გაწითლდა.

— მთებმა დამატყვევეს, მთებმა!

გაოცებულმა ქარიანამ მთელი ძალა მოიკრიბა და დაიყვირა:

— დაბრუნდი ქარო, ყველა შენ გელოდება, აიწყვიტე თავი და დაბრუნდი!

— მაშინ ქარიშხალი ვიქნები!—მისწვდა ბიჭს ქარის ხმა,—განა ქარიშხლის მოსაძებნად წამოხვედი ამხელა გზაზე?!

— არა, ჩვენ ქარი გვინდა, საცალფეხო ხიდებს რომ არწევს, კაბებსა და დროშებს რომ აფრიალებს, ღრუბლებს რომ ფანტავს, მხიარულ ამბებს რომ გვიამბობს ხოლმე!—ნაღვლიანად გაეპასუხა ბიჭი და ხიდან ჩამოვიდა. მაშინვე ხალხი შეკრიბა, აუწყა ქარის ადგილსამყოფელი. ყველანი მთებისაკენ დაიძრნენ.

— დაგვიბრუნე ქარი!—შეევედრა ხალხი მთებს.

მთები გაჯიუტდნენ:

— მთელი სიცოცხლე უძრავად ვდგავართ, თავიც კი ვერ მიგვიბრუნებია გვერდზე და აბა, ჩვენ როგორა ვძლებთ?

ხალხმა დაუჩოქა, მაინც არ შეისმინეს მთებმა ვედრება, მაშინ ქარს შეეხვეწნენ:

— იქეიი ქარიშხლად, აიწყვიტე, ამოიქროლე და თუნდაც ჩვენც გვიმსხვერპლო, ალარ ვჩივით, რადგან უშენოდ მაინც არად გვიღირს სიცოცხლეო!

აცრემლდა ქარი, ხალხის სიყვარულმა გული აუჩუყა, ერთი მძლავრად ამოისუნთქა, ქარიშხლად ქცეულმა ერთიანად მიასწორ-მოასწორა მთები და გამარჯვებული—ისევ მშობელ ხალხს დაუბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იკადრა, რა იკადრა

გიორგი კაჭახიძე

ფისო აღარ დამანახოთ,
საძაგელი, ქურდბაცაცა,
ვსაუზმობდი და ხელიდან
უცებ ყველი გამომტაცა.
რა იკადრა, რა იკადრა,
რა ყოფილა, რა ფეხმაღი,
ტახტქვეშ ისე მიიმალა,
ძღივს მოვკარი მსუნაგს თვალი.
იმ თავნება მოძალადეს
ხმას არ გავცემ, გავებუტე,
წავიდეს და ემეგობროს
თვალცეცია მელაკუდებს.

ლერი მიშველიძე

ნათია

პაწაწინა ნათია
გაგვიბრაზეს ამ დღით,
უთხრეს:—გოგო კი არა,
ია ხარო, ნამდვილი.—
ნათიას კი არ უნდა
ჰგავდეს ციცქნა იასა.
ჰკუა მოეკითხება
ასეთ გოგონიასა?

თოჯინების საღილი

— რას აკეთებ, თინიკო?—
— რას და, ჩემო ძაძია,
საღილს ვაპმევ თოჯინებს,
ღილას არ უპამიათ.

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირვეული ბაჭია

ლევან ივრისპირელი

სოფლიდან მოშორებით ტყის განაპირა ჯაგნარში კურდღლების ერთ პატარა ოჯახს დაედო ბინა. სულ სამნი იყვნენ: დედა კურდღელი, მამა კურდღელი და პატარა ბაჭია.

მშობლებს ძალიან უყვარდათ შვილი, ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ, სულ ზედ დაჰკანკალებდნენ. ამის გამო პატარა ბაჭია მეტისმეტად ნებიერა, თხლეშია იყო.

ბაჭიას ძალიან უყვარდა სტაფილო და კომბოსტო, მაგრამ, როცა მშობლები სუფრაზე მხოლოდ სტაფილოს მოიტანდნენ, ბაჭია გაჭირვეულდებოდა:

— არ მინდა სტაფილო, კომბოსტო მირჩევნიაო, — ამაზე დედა კურდღელი შეწუხებული ვიშვიშებდა, მამა კურდღელი კი, მეტი რა გზა ჰქონდა, კომბოსტოს საშოვნელად გასწევდა ხოლმე.

ერთხელაც, მამა კურდღელი უთენია წავიდა ბოსტნეულის მოსატანად. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, სოფლიდან ძაღლების გაავებული ყეფა მოისმა, თითქმის მთელი სოფლის ძაღლები იყეფებოდნენ.

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადელვებული დედა კურდღელი აქეთ-იქით მიაწყდა. ბაჭია შიშისაგან აკანკალდა.

ძალე ეფეა ჯაგნარს მოუახლოვდა, ცხადი იყო, ძაღლები მამა კურდღელს მოსდევდნენ. თითქოს, საცაა უნდა დასწეოდნენ, მაგრამ მოხდა ჩვეულებრივი ამბავი, ძაღლები კურდღელს ვერ დაეწივნენ და ეურცქვიტა ჯაგნარში გაუჩინარდა.

— მადლობა ღმერთს!—შვებით აღმოხდა დედა კურდღელს, როცა სახლში შემოსული მამა კურდღელი დაინახა.

ნარბენმა, დაღლილ-დაქანცულმა მამამ სავსე ჩანთა მაგიდაზე დადო. ბაჭია ადგილიდან არ დაძრულა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჩანთაში მისი საყვარელი საჭმელი იყო. ახლა ბაჭიას ჯამა კი არა, ტირილი უნდოდა. ერთი წუთით ოჯახში დუმილი ჩამოვარდა.

— ჯამე, შვილო, ჯამე,—თქვა მამა კურდღელმა ისეთი ჩვეულებრივი დამშვიდებული ხმით, როგორც ეს ყოველდღე ხდებოდა.

ახლა კი მისვდა ჩვენი ბაჭია, რა ტანჯვით შოულობდნენ მშობლები საჭმელს, რასაც ხშირად უმიზეზოდ იწუნებდა ხოლმე და თვალთაგან სინანულის ცრემლი გადმოსცვივდა,—მაპატიეთო,—ლუღლუღებდა გულამოსკვნილი. ძლივს დააწყნარეს,—აბა, რა ბგონია, დროა, ჩაუკვირდე ცხოვრების ავკარგსაო,— ეს უთხრეს მხოლოდ.

ჩვენმა ბაწია ნებიერამ იმ დღის მერე ბოიძალა წუნიაობა, რადგან ყოველთვის გარკვევით ჩაესმოდა ხოლმე სოფლის გაავებული ძაღლების ეფეა, გნიასი და ამიტომაც, რასაც მშობლები შესთავაზებდნენ, ყველაფერს სიამოვნებით ახრამუნებდა.

ყოჩალი კახა

გორის გუგეშაშვილი

ენკი-ბენკი სიკლისაო,
კრუხმა უთხრა წისქვილსაო:
— სიმინდი ჩამომიღერღე,
მომიშივდა წიწილსაო.
ენკი-ბენკი სიკლისაო,
წყალმა უთხრა წისქვილსაო:
— მაღლა მთებში ქორი ვნახე,
ეძებს კრუხს და წიწილსაო.—
ენკი-ბენკი სიკლისაო,
კახამ უთხრა წისქვილსაო:
— აგერა ვარ, რას გავატან,
ვის გავატან წიწილსაო?!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსაქმური

გიორგი ფერეთელი

— პაპა, პური მომიტანე!
ეს ხომ დიდის პურია?
ღიმონათიც მოაყოლე,
ტკბილი წყალი მწყურია!

— პაპა როგორ დაასაქმე,
არ გრცხვენია ზურია?
სხვისი შრომით ვინაც ცხოვრობს,
ყველა უსაქმურია.

ლელამ პირი დაიბანა

მამუკა ფიკლაური

ღელამ პირი დაიბანა,
დაემსგავსა მზეს,
დედამ, მამამ, პაპამ, ბებომ
შეხედეს და თქვეს:
—გუშინ ზანგი გოგო იყო,
ქართველია დღეს.

პოლი და წაბლი

პოლი ლორმუცელა ბიჭია. ისეთი მადა აქვს, იცოცხლეთ, უკეთესს ვერ ინატრებთ.

ერთ დღეს ბაზარში წავიდა, ყურადღებით მოათვალიერა გასაყიდად გამოტანილი სანოვაგე, იქვე—კუთხეში მოხუცი ქალი იჯდა და წაბლს ჰყიდდა. პოლის თვალი წაუვიდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა, აღგა და მოიპარა.

შინ გახარებული დაბრუნდა. წაბლი შესაწვავად მაშინვე აგიზგიზებულ ბუხარში ჩაყარა.

მალე წაბლმა ტკაცა-ტკუცი დაიწყო. პოლი ბუხრისკენ დაიხარა, უცებ ნაკვერჩხლებიდან გამსკდარი წაბლი ამოვარდა და სახეში მოხვდა. ბიჭუნამ სიმწრისაგან შეჰყვირა.—რა მოხდა, რა აყვირებსო და მთელი ოჯახი პოლს შემოეხვია, მაგრამ დახეთ, თურმე ლორმუცელა, ბიჭი წაბლის მოპარვისთვის თვითონ წაბლსვე დაესაჯა.

ოარგმანი ფრანგულიდან **ნანა სტურუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვევრები

თინათინ კვირიკაძე

ქვევრები გვაქვს იმოდენა—
მართლაც თვალის სასეირო,
შიგ რომ ჩავა პაპაჩემი
თავისუფლად დასეირნობს.

ყოჩაღი დათო

არჩილ გეგუაური

მუხლმაგარი დათო ბიჭი
მთამსვლელივით დადის მთებზე,
ხან საქონელს მწყემსავს ხოლმე,
ხან—ანკესით იჭერს თევზებს.

თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები გარეული ფრინველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა „ნიკორწმინდა“.

შეადგინა ქ. თბილისის 142-ე საშ. სკ. მოსწავლემ **გია კოშაძემ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა-ბიჭი

ავთანდილ გურგენიძე

დღეს ქალიდან გელა ბიჭმა
ჯერ ხომ ძროხა ამოდენა,
მერე თევზი დაიჭირა,
თევზი, აი,—ამოდენა!

ოქროქალა

ბორის გუგეშაშვილი

აბა, დელი, დელასა,
ჩვენს პატარა ლელასა,
ამორჩეულ ვაშლს ვაჩუქებ—
ორი მუშტის ხელასა.
გვეხმარება შინ და გარეთ,
გვეფერება ყველასა,
ოქროქალას ეძახიან
ლელა—საყვარელასა!

დედოფალა

ტიტე მოსია

შემობრძანდა სტუმარი და
ყველა ფეხზე ადგა:
თამუნია, ზურიკელა,
თეონა და დათა.
დედოფალა არხეინად
ზის და არც კი დგება.
ამის მერე აღარ მითხრათ
დედოფალას ქება.

რებუსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. გაიხედა ზღარბუნამ,
ალარ იყვნენ ბავშვები.



2. წამოიღო ბალჩიდან
ძირს ნაჟარი ვაშლები.



3. ზურგდახუნძლულს უიცრად
მიეპარა ძურდულად—

4. შეუბაძა ნაპოვნი
ღორმუცელა ღრუტუნამ.



5. ცუნგრიკელა დარაჯმა
დაიჭირა ძურდი.

6. ზღარბუნიას მრბენთა
ღრუტუნიას კუდი.

კ. გოგიაშვილი

ნახატები ედუარდ ამგოკაძისა

მოამზადა რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ედუარდ ამგოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეონა ერაძე, მაყვალა მგელიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), ოთარამ ქუთათელიძე, რობერტ ღარიბაშვილი, ვიქტორ ქნელაძე.

საქ. ენაკ ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

საქ. ლენ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი ედუარდ ამგოკაძისა
გამოცემის ნომერი წელი.
ტექნიკური რედაქტორი ენდი ფარეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორისა—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნისი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 17/VII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-79 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2ნ, ტირაჟი 158.000. შეკვ. № 1994 „Дида“ № 10. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.